

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიისა და კულტურის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა  
კომისიების სხდომის  
ოქმი N 12

ქ.ვანი თავისუფლების N65

6 ნოემბერი 2019 წელი

14:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, შოთა გიორგაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** მალხაზ ცერცვაძე, გელა ვარდოსანიძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

**მოწვეული პირები:**

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სახელეუვნებო, განათლებისა და ტურიზმის ცენტრის დირექტორი - **თამარ ჟვანია.**

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბ „აიერტი“ ს დირექტორი - **ვალერი როხვაძე.**

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი - **ზვიად მინაშვილი.**

**კომისიის სხდომის თავმჯდომარე** - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე .**

**დღის წესრიგი**

1. 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯვის მონაცემები (ღონისძიებების მიხედვით), 2019 წლის სახელფასო ფონდი (თანამშრომელთა სახელობითი სია თანამდებობისა და თანამდებობრივი სარგოს მითითებით), 2020 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მონაცემები (მათ მიერ მოთხოვნილი ღონისძიებების) .

**მომხს:** თამარ ჟვანია

2. 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯვის მონაცემები (ღონისძიებების მიხედვით), 2019 წლის სახელფასო ფონდი (თანამშრომელთა სახელობითი სია თანამდებობისა და თანამდებობრივი სარგოს მითითებით), 2020 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მონაცემები (მათ მიერ მოთხოვნილი ღონისძიებების)

**მომხს:** ვარელი როხვაძე

3. 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯვის მონაცემები (ღონისძიებების მიხედვით), 2019 წლის სახელფასო ფონდი (თანამშრომელთა სახელობითი სია თანამდებობისა და თანამდებობრივი სარგოს მითითებით), 2020 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მონაცემები (მათ მიერ მოთხოვნილი ღონისძიებების)

**მომხს:** ზვიად მინაშვილი

4. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტლური მიმოხილვა.

**მომხს:** ივანე მამფორია

5. ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დ ჩასარიცხი თანხების შესახებ 2019 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით.

მომხს: ივანე მამფორია

**დაადგინეს;** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა თამარ ჟვანიამ კომისიის წევრებს გააცნო საბიუჯეტო განაცხადი ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გამოსაყოფ ასიგნებებზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ძირითადი პრობლემა ჩემი სამსახურის ითვალისწინებს თანამშრომლებზე ხელფასების მატებას, განსაკუთრებით ბიბლიოთეკის, მოსწავლე ახალგაზრდობის, კვლევის ცენტრის და მუსიკალურის თანამშრომლებზე. გთხოვთ ეს თხოვნა და პრობლემა გაითვალისწინოთ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში.

/დანართიN2/

**დაადგინეს:**

კომისიამ განიხილა და ცნობის სახით მიიღო წარმოდგენილი საკითხი.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვალერი როხვაძემ კომისიის წევრებს გააცნო 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯვის მონაცემები (ღონისძიებების მიხედვით), 2019 წლის სახელფასო ფონდი (თანამშრომელთა სახელობითი სია თანამდებობისა და თანამდებობრივი სარგოს მითითებით), 2020 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მონაცემები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩემი დიდი თხოვნით მწვრთნელებს ხელფასი უნდა გაუზარდეს მინიმუმ 500 ლარით. ცვალებადობა არის მწვრთნელებში ხელფასების რაიდენობაში და ცპემი სურვილი არის, რომ ყველას ერთნაირი თანხა ქონდეთ.

ჩვენი რეკომენდაცია არის, რომ ბიუჯეტი გაიზარდოს 160 ათასი ლარის ნაცვლად 180 ათასი ლარით, რათა ფესტივალის და მწვრთნელების თანხა რომ დაკმაყოფილდეს.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით და გვერდით დაგიდგებით თქვენი წინადადების განხორციელებაში.

/დანართიN3/

**დაადგინეს:**

კომისიამ განიხილა და მიიღო ცნობის სახით წარმოდგენილი ინფორმაცია.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად მინაშვილმა ისაუბრა 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯვის მონაცემებზე და 2020 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მონაცემებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩემი თხოვნაა სპორტს დაემატოს 2 ახალი ფრენბურთის და მაგიდის ჩონგბურთის სახეობა. აღნიშნული გუნდების დამატება არ მოითხოვს დიდი თანხების ხარჯვას.

რაც შეეხება სპორტულ დარბაზს არის სავალალო მდგომარეობაში, ნესტით არის განადგურებული კედლები და იატაკი.

აღნიშნული პრობლემები გთხოვთ ასახოთ სახლფასო ფონდში და გაითვალისწინოთ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში.

/დანართი N4/

**დაადგინეს:**

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხები და აღნიშნეს, რომ აუცილებლად ვეცდებით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად, რომ თქვენი მოთხოვნები დაკმაყოფილდეს.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის მესამე და მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტლური მიმოხილვა და ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დ ჩასარიცხი თანხების შესახებ 2019 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2018 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N125 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7400,0 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის განმავლობაში ბიუჯეტში იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსავლები დაზუსტდა 12929,5 ათასი ლარის, გადასახდელები 16670,4 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება - 3740,9 ათასი ლარის მოცულობით. ასევე ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2019 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან 9 თვის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებისათვის 91,9 ათასი ლარი გამოიყო. გამოყოფილი თანხების საკასო შესრულება 91,9 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც სუბსიდიის მუხლით 10,0 ათასი ლარი მიიძართა, სხვა ხარჯების მუხლით 4,5 ათასი ლარი, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 77,4 ათასი ლარი.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-4 და მე-5 საკითხებს.

წარმოდგენილი საკითხი მზად არის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 5 და N6/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე